“შენი უფლებაა იცოდე“

სემინარი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებზე

პრაქტიკული საკითხავი მასალა

პროექტის „შენი უფლებაა იცოდე“ პარტნიორებია: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და საქართველოს უნივერსიტეტი.

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION IDFI

შენი უფლებაა იცოდე“ წარმოადგენს Joint Civic Education-ის მიერ დაფინანსებულ მოხალისეობრივ პროექტს, რომელიც „ირის ჯგუფი მრავალფეროვნების მართვის“, MitOst e.V.-ისა და CRISP-ის ერთობლივი პროგრამაა და ოპერირებას უწევს Theodor Heuss Kolleg.

ირის ჯგუფი მრავალფეროვნების მართვა

MitOst

CRISP

Theodor Heuss Kolleg
Ein Programm der Robert Bosch Stiftung und des MitOst e.V.

21 ოქტომბერი, 2012

საკითხავი მასალისთვის გამოყენებულია:

ჯორბენაძე, ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, 2012

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის ნიმუში და მაგალითები მოყვანილია IDFI-ის პრაქტიკიდან.

www.idfi.ge

www.opendata.ge

ინფორმაციის თავისუფლება - ადამიანის უფლება....4
ძირითადი ტერმინები....4
საზოგადოებრივი ინტერესი....4
საჯარო ინფორმაცია....5
საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი....5
საჯარო დაწესებულება....6
თანამდებობის პირი....6
რა არის საჯარო ინფორმაცია....9
რა არ არის საჯარო ინფორმაცია....11
საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა....15
საჯარო ინფორმაციის მიღება....18
შექმნა/დამუშავების ცნება....18
საჯარო ინფორმაციის გაცემის სახეები....19
- სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია....19
- არასრულყოფილად (ნაწილობრივ) გაცემული საჯარო ინფორმაცია....19
- სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე....19
- უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნა....20
საჯარო ინფორმაციის მიღების საფასური....20
საჩივარი....21

ინფორმაციის თავისუფლება - ადამიანის უფლება

ინფორმაციის თავისუფლების საკითხი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ისეთ ჯგუფს მოიცავს, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის გავრცელება და სხვ. [1] საქართველოს კონსტიტუცია იცავს ინფორმაციის თავისუფლებას, როგორც ყოველი ადამიანის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით (მუხლი 24).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი [2] უფრო ზუსტ განმარტებას იძლევა: ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს (მუხლი 10.1).

ძირითადი ტერმინები

ინფორმაციის თავისუფლებისა და გამჭვირვალობის საკითხების გასაგებად, პირველ რიგში, აუცილებელია ამ ცნებებთან დაკავშირებული ტერმინების განმარტება. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

საზოგადოებრივი ინტერესი

ინფორმაციის თავისუფლება არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ აბსოლუტურ უფლებას (როგორიცაა მაგ. სიცოცხლის უფლება). რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა სახის ინფორმაციის გაცემა ან მიღება კანონმდებლობით დაშვებული არაა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიხედვით, ინფორმაციის თავისუფლების უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუკი ინფორმაცია მოიცავს სახელმწიფო, კერძო ან კომერციულ საიდუმლოებას.

ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებზე საუბრისას, აუცილებლად ცალკე უნდა გამოიყოს სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ცნება - საზოგადოებრივი ინტერესი. იგი გულისხმობს დაშვებას, რომ შეიძლება პირს შეეზღუდოს ინფორმაციის მიღების უფლება, თუ სახეზე იქნება საზოგადოებრივი ინტერესი.

---

[1] ცნობილაძე, პ., კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ცნობარი, თბილისი, 1998, 55.
ციტირებულია: ჯორბენაძე, ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, 2012, 6.
[2] შემდეგში სზაკ

ამ ცნების ფარგლების დადგენა სასამართლოს პრეროგატივაა. ვინაიდან, სხვა მხრივ, ნებისმიერ პირს შეეძლება კონკრეტულ საკითხს ამგვარი ფორმულირება მისცეს და ამით უარი თქვას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

<u>მაგალითი</u>: საქმე, რომელშიც მოსარჩელე ითხოვდა აუქციონში მონაწილე პირთა შესახებ ინფორმაციის მიღებას. საჯარო დაწესებულებამ მას ინფორმაცია არ მიაწოდა, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია კონფიდენციალური ხასიათის იყო. სასამართლოს განმარტებით, საზოგადოებრივი ინტერესი, რიგ შემთხვევაში, შეიძლება კონკრეტული პირის ინტერესს სჭარბობდეს და იგი განსაზღვრული მოვლენის დადგომისკენ იყოს მიმართული.

საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაცია არის **ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, *<u>ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია</u>*;** (პროაქტიული გამოქვეყნება ძალაში შედის 2013 წლის 1 სექტემბრიდან) (სზაკი, მუხლი 2, ქვეპუნქტი მ).

საჯარო ინფორმაციის ამგვარი სახით არსებობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მის მოთხოვნაზე გასცეს იგი სრულყოფილი სახით. შედეგად, საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს, ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის.

საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი

ა) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ **ფიზიკურ პირს.** არ აქვს მნიშვნელობა პირის მოქალაქეობას, რელიგიას, სქესს, კანის ფერს, წარმომადგენლობას თუ შეხედულებებს. მას შეუძლია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს, მათ შორის საქართველოს მთავრობას.

ბ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ **იურიდიულ პირს,** რომელიც წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) პირს. მათ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭება მათი სამართლებრივი მოწყობის ფორმას, წარმოადგენენ ისინი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო იურიდიულ პირს, არასამეწარმეო იურიდიულ პირს და ა.შ.

გ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შეუძლია **საჯარო დაწესებულებასაც.**

საჯარო დაწესებულება

საჯარო დაწესებულება არის **სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება**, აგრეთვე **პირი**, რომელიც კანონმდებლობის ან ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო დაწესებულების სახელით ასრულებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს; **საჯარო სამართლის იურიდიული პირი,** აგრეთვე **კერძო სამართლის იურიდიული პირი**, რომელიც დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან.

თანამდებობის პირი

"საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი გვთავაზობს თანამდებობის პირთა ჩამონათვალს:

1) საქართველოს პრეზიდენტი;

2) საქართველოს პარლამენტის წევრი;

3)აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;

4) აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

5) საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე;

6) საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე;

7) საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილე;

8) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;

9)საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე, მასთან გათანაბრებული პირი;

10)საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირები; *(29.06.2012 N 6612 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 60-ე დღეს)*

11)საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

12)საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

13) საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენი და მისი მოადგილე;

14)საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

15)საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, დეპარტამენტის უფროსები და მათთან გათანაბრებული პირები; *(29.06.2012 N 6612 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 60-ე დღეს)*

16) საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი;

17)საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;

18)შემოსავლების სამსახურის უფროსი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელები;

19)გენერალური აუდიტორი, მისი მოადგილე, სახელწმიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის წევრი, დეპარტამენტების, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში აუდიტის სამსახურის თავმჯდომარეები;

20) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;

21) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;

22) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

23) საქართველოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის წევრი;

24) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;

25) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი და მისი მოადგილე;

26) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები;

27) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები;

28) თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, ცხინვალი) და მუნიციპალიტეტის საკრებულოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები და საკრებულოს მდივანი; მოადგილეები, საკრებულოს კომისიათა თამჯდომარეები და საკრებულოს მდივანი; *(29.06.2012 N 6612 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 60-ე დღეს)*

29) თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) მერი, მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის რაიონის გამგებელი და მათი მოადგილეები; *(29.06.2012 N 6612 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 60-ე დღეს)*

30) მოსამართლე;

31) საქართველოს მთავარი პროკურორი და მისი მოადგილე, საქართველოს მთავარი პროკურორის დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;

32) საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.

რა არის საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

სზაკ-ის 42-ე მუხლში მითითებულია ის ინფორმაცია, რომლის **გასაიდუმლოება დაუშვებელია**:

1. ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
2. საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
3. საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;
4. საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;
5. კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;
6. არჩევით თანამდეობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;
7. საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;
8. საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
9. საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;
10. საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა)

შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

11. იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;
12. საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.
13. ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

ამას გარდა, ცალკე არის გამოყოფილი (სზაკ, მუხლი 44), რომ საჯარო დაწესებულება **ვალდებულია** არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები. მას მხოლოდ კანონით დადგენილ შემდეგ შემთხვევებში შეუძლია პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება:

როდესაც:

- არსებობს სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;
- პერსონალური მონაცემები ეხება **თანამდებობის პირებს;**
- პერსონალური მონაცემები ეხება **თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებს.**

სზაკ-ის 36-ე მუხლის მიხედვით, **საჯარო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე,** რომლის პასუხისმგებლობაც უნდა იყოს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ამასთან, მისი საკონტაქტო ინფორმაცია ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. შესაძლებელია ამ თანამდებობის შეთავსება სხვა თანამდებობასთან, რასაც თავად საჯარო დაწესებულება წყვეტს. 2013 წლის 1 სექტემბრიდან, ასევე სავალდებულო გახდება ინფორმაციის **პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის** დადგენა.

რა არ არის საჯარო ინფორმაცია

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება არ ვრცელდება ნებისმიერ სახის საჯარო ინფორმაციაზე. ამგვარად, გარკვეული სახის ინფორმაცია დახურულია, რადგან შეიცავს **პირად, კომერციულ, სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.**

საიდუმლო ინფორმაცია: საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ **სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით** მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

პირადი საიდუმლოება - პერსონალური მონაცემები, რომლის პირად საიდუმლოდ მიჩნევის საკითხს წყვეტს პირი, რომლის შესახებაც საჯარო დაწესებულებაში არსებობს ეს ინფორმაცია. კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემები არის ინფორმაცია, რომელიც **პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.**ასევე, პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო საკითხებთან.

ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავად გადაწყვიტოს, დაეთანხმოს ან უარი თქვას პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე. თუმცა, **აღნიშნული არ ვრცელდება თანამდებობის პირებზე,** აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებზე - საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი თანამდებობის პირების შესახებ არსებულ მონაცემებს შეიცავს.

შენიშვნა: პრაქტიკაში ვითარება განსხვავებულია. ხშირად საჯარო დაწესებულება თანამდებობის პირების შესახებ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს პირად ინფორმაციას მიაკუთვნებს და ასაიდუმლოებს.

კომერციული საიდუმლოება - კომერციული ფასეულობის მქონე გეგმა, ფორმულა, პროცესი, საშუალება ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

მარტივად რომ ითქვას, აღნიშნული ტიპის საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემები კომერციული საქმიანობის წამმართველი პირის „ნოუ-ჰაუა“. ამ კატეგორიაში არ შედის ინფორმაცია სახელისა და გვარის შესახებ.

მაგალითად, კომერციულ საიდუმლოებად ვერ ჩაითვლება კონკრეტული იურიდიული პირის დირექტორის ან ხელმძღვანელის სახელი (მაგალითისთვის, სკოლაში არსებული ბუფეტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი).

კომერციული საიდუმლოება მაშინ არის სახეზე, თუ იგი კერძო სამართლის იურიდიული პირისა და სხვა მეწარმეთა შესახებ არსებულ მონაცემებს შეიცავს. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოდ მიჩნევა.

მაგალითად, ქ. თბილისის მერიასა და ერთ-ერთ შპს-ს შორის ქალაქის გამწვანებაზე გაფორმებული ხელშეკრულება არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას.

პროფესიული საიდუმლოება - პროფესიული საიდუმლოება წარმოადგენს მონაცემთა ისეთ სახე, რომელიც **პერსონალურ ან კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს და რომელიც პროფესიული საქმიანობის შედეგად გამოვლინდა.** პროფესიული საიდუმლოების მატარებელი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო.

მაგალითები: აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით განდობილი ინფორმაცია. აგრეთვე, პროფესიული ინფორმაცია, რომელიც პირისთვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებისას.

სახელმწიფო საიდუმლოება - ამ ტიპის ინფორმაციას წარმოადგენს **თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა და სახელმწიფო უშიშროების და მართლწესრიგის დაცვის სფეროს მიკუთვნებული საკითხები.** მათი გამჟღავნება ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას.

მაგალითები თავდაცვის სფეროში:

ა) სტრატეგიული და ოპერატიული გეგმები, სამხედრო ოპერაციების მომზადების, ჩატარების ამსახველი დოკუმენტები;

ბ) შეიარაღებული და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქციო სამუშაოების ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავება.

<u>მაგალითები ეკონომიკის სფეროში:</u>

ა) სამხედრო დანიშნულების სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების მარაგებისა და მიწოდების მოცულობები;

ბ) ტრანსპორტის,კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და ობიექტების დაცვის სისტემები.

<u>მაგალითები საგარეო ურთიერთობათა სფეროში:</u>

ა) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა დეტალები, რომელთა წინასწარ გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს;

ბ) უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხები, თუ ცნობების გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს.

<u>მაგალითები დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში:</u>

ა) სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია.

ბ) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობების პირების და ადმინისტრაციული შენობებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაცვის რეჟიმი;

გ) სამთავრობო და სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემა

აღმასრულებელიპრივილეგია - აღნიშნული ტერმინით აღინიშნება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება, არ გაამჟღავნოს ამ ორგანოს თანამდებობის პირის გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა.

მაგალითად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობდა მსჯელობა თბილისში 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩატარების თაობაზე. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ეს დოკუმენტი გასაჯაროებულ იქნა. დოკუმენტში ფიგურირებს მხოლოდ მინისტრის სახელი, ვინაიდან სხვა მონაწილეები არ იყვნენ თანამდებობის პირები.

გარდა ამისა, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი და შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის უფლება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

1) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;
2) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;
3) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან;
4) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“[3], „დ“[4], „ე“[5], „ზ“[6], „თ“[7], „ო“[8] ქვეპუნქტებით, ასევე მე-2[9], მე-4[10] და მე-5[11] პუნქტებით გათვალსიწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;

---

[3] საქართველოს პრეზიდენტი დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას.

[4]საქართველოს პრეზიდნეტი იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე.

[5]საქართველოს პრეზიდენტი თანხმობას აძლევს მთავრობას პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე.

[6]საქართველოს პრეზიდენტი საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად.

[7] საქართველოს პრეზიდენტი ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები

5) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან;
6) საერთაშორისო საარბიტრაჟო, უცხო ქეყნის ან საერთაშორისო სასამართლოებში მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარე სამართალწაზრმოებასა და საქმეთა განხილვაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობასთან. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია გაიცემა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან/და ამ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოების წესების შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისთვის შესაბამის დაწესებულებას უნდა მიმართოთ წერილობით. მიმართვაში **აუცილებელი არ არის** აღნიშნოთ თქვენი მოთხოვნის **მიზანი.** მოთხოვნის წერილის ფორმა შესაძლებელია იყოს ორი ძირითადი სახის: ა) როდესაც მას ადგენს ფიზიკური პირი; ბ) როდესაც მას ადგენს იურიდიული პირი/საჯარო დაწესებულება.

სზაკ-ის 78 მუხლის თანახმად, ორივე სახის განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- განმცხადებლის ვინაობა და მისამართი;
- მოთხოვნის ტექსტი;
- განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა, მათი არსებობის შემთხვევაში.

წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა.

[8]საქართველოს პრეზიდენტი შეიწყალებს მსჯავრდებულთ.

[9]პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

[10] პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

[11]პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს **ნებისმიერი სახის** საჯარო ინფორმაცია, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ეს ინფორმაცია საიდუმლო. საჯარო დაწესებულებას გააჩნია ვალდებულება, შეზღუდოს ისეთი ინფორმაციის გაცემა, რომელიც შეიცავს პირად, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს მომთხოვნის უფლებას, მოითხოვოს ასეთი სახის ინფორმაცია.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნის **სწორად, გარკვევით და დეტალურად** ჩამოყალიბებას. მაგ. თუ პირს აინტერესებს თავდაცვის მინისტრის ანაზღაურება, მან უნდა დააკონკრეტოს, რომელი პერიოდის განმავლობაში (მაგ. 2011 წლის I-II კვარტალი ან 2012 წლის ივნისი), ამ პერიოდში ჯამური რაოდენობის მიღება სურს, თუ ცალ-ცალკე; მხოლოდ კანონით განსაზღვრული ხელფასი აინტერესებს, თუ ხელფასისა და პრემიის ოდენობა (ერთად ან ცალ-ცალკე). მოთხოვნის არაზუსტი ფორმულირება ხშირად საშუალებას უტოვებს ადმინისტრაციულ ორგანოს, თავი აარიდოს ამომწურავი პასუხის გაცემას და შემოიფარგლოს ზოგადი პასუხით. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ზუსტად ის, რაც წერია თქვენს მოთხოვნაში - თუ რაიმე მოთხოვნაში დაკონკრეტებული არ არის, ვერ გექნებათ პრეტენზია, თუ რატომ არ მიიღეთ ეს ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს აქვს უფლება, აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, როდესაც ინფორმაცია სხვადასხვა სახის არსებობს. მაგ. თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არსებობს როგორც ვებ-გვერდზე, ისე ქაღალდზე, და განმცხადებელი ითხოვს ქაღალდის ქსეროასლს, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს ინფორმაცია მოთხოვნილი ფორმით, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია უკვე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე (თუმცა ხშირად საჯარო დაწესებულებები ზუსტი პასუხის მოწოდების ნაცვლად აგზავნიან გადამისამართებას ვებ-გვერდზე, უმეტესწილად ზუსტი ბმულის მითითების გარეშე).

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ნიმუში:

ორგანიზაციის რეგისტრაციის ნომერი, რომლითაც ადვილად მოძებნის გაგზავნილ წერილს.

ადრესატი დაწესებულების სრული დასახელება. ზუსტი მისამართი იწერება კონვერტზე.

წერილის გაგზავნის თარიღი.

OPD07/12-051

27 ივლისი 2012 წ.

სასურველია დაიწეროს ის მუხლები, რის თანახმადაც ვითხოვთ ინფორმაციას. თუმცა აუცილებელი არ არის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

მოთხოვნის ტექსტი. დაწერეთ მაქსიმალურად ზუსტი, დეტალური და გასაგები მოთხოვნა, სადაც გარკვევით ჩანს რა ინფორმაციას ითხოვთ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე, 37-ე, 38-ე, მე-40 და 44-ე მუხლების თანახმად:

გთხოვთ მოგვაწოდოთ 2012 წლის პირველ კვარტალში განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სხვა ხარჯებისათვის“ გამოყოფილი 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის დეტალური ხარჯთაღრიცხვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ დაუყოვნებლივ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ინფორმაცია მოგვაწოდოთ ქსეროასლის ან ელექტრონული დოკუმენტის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

შეგიძლიათ, დაწეროთ, რომ მზად ხართ გადაიხადოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი

ხელმოწერა. ორგანიზაციის შემთხვევაში ხელს უნდა აწერდეს ის თანამშრომელი, რომელიც ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს. ხოლო თუ განცხადებას ფიზიკური პირი წერს, უთითებს თავის სახელს და საკონტაქტო ინფორმაციას.

შეგიძლიათ, ასეთი ტექსტით შეახსენოთ მათი ვალდებულება, რომ დაუყოვნებლივ მოგცეთ ინფორმაცია, და იმ ფორმით, რომელსაც თქვენ ირჩევთ (ამ შემთხვევაში ქსეროქასლი ან ელ-დოკუმენტი.

საჯარო ინფორმაციის მიღება

სზაკ-ის მე-40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია **დაუყოვნებლივ.** იქიდან გამომდინარე, რომ კანონით არ არის განმარტებული დაუყოვნებლივ გაცემის ცნება, ასეთად უნდა ჩაითვალოს გონივრული ვადები - იმავე დღეს, ან განცხადების რეგისტრაციიდან მეორე დღეს. [12]

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს, საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის მოითხოვოს 10 დღიანი ვადა. ასეთი შემთხვევა სულ სამია:

- თუ საჯარო ინფორმაციის გაცემა საჭიროებს საჯარო დაწესებულისგან სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- თუ საჯარო ინფორმაციის გაცემა საჭიროებს მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- ან თუ საჯარო ინფორმაცისი გაცემა საჭიროებს სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებას ესაჭიროება 10 დღიანი ვადის გამოყენება, ის **ვალდებულია,** ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს (სამწუხაროდ, პრაქტიკაში ეს წესი ხშირად ირღვევა, და არ არსებობს დარღვევის შემთხვევაში მოქმედი სანქცია).

შექმნა/დამუშავების ცნება

არ არის ცალსახად ნათელი, შედის თუ არა საჯარო დაწესებულების ვალდებულებაში შინაარსობრივად ახალი დოკუმენტის შექმნა. ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ ერთეულს აქვს უფლება, მოითხოვოს 10 დღიანი ვადა თუკი მას ესაჭიროება ***მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიება და დამუშავება.*** ეს შეიძლება გაგებულ იქნას ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვილი მონაცემები დაამუშავოს საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, და არა მხოლოდ

[12] წკეპლაძე ნ., ადეიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტოშვილი დ., ტუღუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, 38.ციტირებულია: ჯორბენაძე, ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, 2012, 47.

ერთად მოუყაროს თავი. თუმცა, არსებული სასამართლო პრაქტიკა ამკვიდრებს წესს, რომ დოკუმენტების შეგროვება მხოლოდ მათ მექანიკურ თავმოყრას გულისხმობს, და არა „ლოგიკური სინთეზით ახალი დოკუმენტების“ შექმნას. [13] ასეთ შემთხვევაში, თუ გაინტერესებთ სამინისტროს მიერ 2011 წლის მეორე კვარტალში პროექტებზე დახარჯული თანხის სრული ოდენობა, ხოლო სამინისტროს ეს ინფორმაცია არ აქვს დაჯამებული, და აქვს მხოლოდ თითოეული პროექტის ცალკეული ხარჯი, ის არ არის ვალდებული თქვენს მაგივრად დააჯამოს მონაცემები.

საჯარო ინფორმაციის გაცემის სახეები

შესაძლებელია გამოიყოს საჯარო ინფორმაციის გაცემის რამდენიმე ძირითადი სახე. ქვემოთ მოცემული ტიპოლოგია გამოყოფილია ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)რამდენიმეწლიანი პრაქტიკის შედეგად:

- სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია;

როდესაც მოთხოვნის ყველა დეტალზე ამომწურავი პასუხია გაცემული. სრულყოფილად ითვლება ასევე საჯარო ინფორმაცია, რომლის გაცემაზეც სამართლებრივად დასაბუთებული უარი არის გაცემული. ასეთი უარის დროს მითითებული უნდა იყოს გასაიდუმლოებული ინფორმაციის გრიფის ნომერი.

- არასრულყოფილად (ნაწილობრივ) გაცემული საჯარო ინფორმაცია;

როდესაც პასუხი გაცემულია მოთხოვნის მხოლოდ ნაწილზე. მაგ. თუ მოთხოვნილი იყო ხელფასებისა და პრემიების ოდენობა 2010 წლის პირველ კვარტალში, და მოწოდებულია მხოლოდ ხელფასების ოდენობა. არასრულყოფილად გაცემულად შეიძლება ასევე ჩაითვალოს საჯარო ინფორმაცია, რომელიც არ არის გაცემული მოთხოვნილი ფორმის შესაბამისად. მაგ. როდესაც ქსეროასლის ან ელ-ვერსიის ნაცვლად მითითებაა ვებ-გვერდზე.

- სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;

ასეთად შეიძლება ჩაითვალოს უარი, როდესაც არ არის დასაბუთებული, თუ რის საფუძველზე არის მიჩენული მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია საიდუმლოების შემცველად, რა არის გრიფის ნომერი ა.შ. უარი განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. ასევე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გადაწყვეტილების

[13] http://www.opendata.ge/#!lang/ka/cat/georgian_judicial_practice/topic/57ციტირებულია: ჯორბენაძე, ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, 2012, 48.

მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოსის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას (სზაკ, მუხლი 41).

მაგალითი „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ გამოცდილებიდან: სსიპ - განათლების ეროვნულმა ცენტრმა საჯარო ინფორმაციის არგაცემის მიზეზად დაასახელა თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკი (მათი მტკიცებით, ყველა თანამშრომელი ჩართული იყო - სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და მასწავლებელთა სერთიფიცირების - გამოცდის ჩატარებასა და დაგეგმვის პროცესში). თავისთავად, ეს სამართლებრივად დასაბუთებულ პასუხს არ წარმოადგენს.

- უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნა.

როდესაც საჯარო დაწესებულება მოთხოვნაზე პასუხის გაცემის ნაცვლად უმოქმედოდას ირჩევს, ეს ითვლება მოთხოვნის უპასუხოდ დატოვებად, რაც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევაა. ამ შემთხვევაში ინფორმაციის მომთხოვნი გაურკვევლობაშია, რადგან დაუდგენელი რჩება ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განაცხადა ინფორმაციის გაცემაზე, თუ ჯერ არ აქვს იგი მიღებული წარმოებაში.ეს მიანიშნებს დაწესებულების პასუხისა და მისი მხრიდან საკუთარი ქმედების ახსნის მნიშვნელობას.

საჯარო ინფორმაციის მიღების საფასური

საჯარო ინფორმაციის მიღება **უფასოა**. სზაკ-ის 38-ე მუხლის მიხედვით, დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.

საჩივარი

საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის არგაცემის შემთხვევაში მისი მიღების ერთადერთ ფორმას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლება წარმოადგენს.

გასაჩივრების უფლებას კანონმდებლობა ორ ნაწილად ჰყოფს: **ადმინისტრაციული საჩივრისა და სარჩელის შეტანის შესაძლებლობის სახით.**

თუკი საჯარო დაწესებულება უარს ამბობს ინფორმაციის მოწოდებაზე ან არასრულად აწვდის ინფორმაციას, განმცხადებელს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება უარის მიღებიდან, ერთი თვის ვადაში - **ადმინისტრაციული საჩივარი**.

გადაწყვეტილება ჯერ აუცილებლად უნდა გასაჩივრდეს ზემდგომ თანამდებობის პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოში (იმ უწყების ხელმძღვანელთან, რომელი საჯარო დაწესებულებიდანაც უარი გეთქვათ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე). ადმინისტრაციული საჩივარი სასამართლოში სარჩელის წარდგენის ერთგვარი წინაპირობაა. მისი განხილვა ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

საჩივრის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში იგი შეიძლება გასაჩივრდეს **სასამართლოში,** ამ პროცედურების გავლის გარეშე სასამართლო სარჩელს არ მიიღებს. გამონაკლისი ის შემთხვევაა როდესაც არ არსებობს აქტის გამომცემი პირის ზემდგომი.

აქვე აღსანიშნავია, რომ თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს ამბობს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და ამავე დროს პასუხში განმარტავს უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, საჯარო ინფორმაციის მომთხოვს უფლება აქვს ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.

ადმინისტრაციული საჩივრის შევსების თავისებურებები - საჩივარს არ გააჩნია კანონით დადგენილი ფორმა. სამაგიეროდ, კანონმდებლობის მიხედვით, იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართ;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;

ე) მოთხოვნა;

ვ) გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის უფლება გააჩნია:

ა) ფიზიკურ პირს, რომლის უფლებების დაირღვა;

ბ) იურიდიული პირის წარმომადგენელს;

გ) საჯარო დაწესებულების წარმომადგენელს;

დ) შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ფიზიკური პირის წარმომადგენელს.

სარჩელი სასამართლოში - სასამართლოში სარჩელის შესატანად საჭიროა პირმა სრულყოფილად ჩამოაყალიბოს საკუთარი მოთხოვნები. უნდა გაწეროს ის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი საფუძვლები, რაზე დაყრდნობითაც თვლის, რომ მისი უფლებები შეილახა.